

მურსილი II-ის “ათწლიანი” ანალები

თარგმანი:

მმართველობის დასაწყისი:

§ 1. „ასე ამბობს ჩემი მზე, მურსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, გმირი, სუფილულიუმას ვაჟი, დიდი მეფისა, გმირისა.

§2. მამაჩემის ტახტზე ჯერ ასული არ ვიყავი, როდესაც მეზობელმა მტრულმა ქვეყნებმა ომი გამომიცხადეს. და როდესაც მამაჩემი ღვთაებად იქცა, არნუვანდა, ჩემი ძმა მამაჩემის ტახტზე დაჯდა, მაგრამ შემდეგ ავად გახდა. ხოლო როდესაც მტრულმა ქვეყნებმა არნუვანდას, ჩემი ძმის ავადმყოფობის ამბავი შეიტყვეს, ომი წამოიწყეს.

§3. ხოლო როდესაც არნუვანდა, ჩემი ძმა ღვთაებად იქცა, იმ მტრულმა ქვეყნებმაც, რომელთაც ომი გამოცხადებული არ ჰქონდათ, მათაც ომი წამოიწყეს. ხოლო მეზობელმა მტრულმა ქვეყნებმა შემდეგნაირად თქვეს: „მამამისი, ხათის ქვეყნის მეფე, გმირი მეფე იყო და მტრული ქვეყნები დაამარცხა. ხოლო იგი ღვთაებად იქცა. ხოლო მისი ვაჟი კი, რომელიც მამამისის ტახტზე დაჯდა, იგიც ძლიერი გმირი იყო ადრე, მაგრამ ავად გახდა და ისიც ღვთაებად იქცა.

§4. ხოლო იგი, რომელიც მამამისის ტახტზე ახლა დაჯდა, იგი ახალგაზრდაა და ხათის ქვეყანასა და მის საზღვრებს იგი ვერ იხსნის”.

§5. ხოლო რადგანაც მამაჩემი მითანის ქვეყნად დიდხანს შეყოვნდა, დაბრუნება შეაგვიანდა. ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ღვთაების, დღესასწაული კი არ ითმენდა.

§6. ხოლო როდესაც მე, მზე, მამაჩემის ტახტზე დაეჯექი, სანამ იმ გარშემო მყოფი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც ომი გამომიცხადეს, საბრძოლველად გავწვედი, ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ქალღვთაების დადგენილ დღესასწაულებზე ვიზრუნე და ვიზეიმე ისინი. ჩემს ქალბატონს, ქალაქ არინას მზის ქალღვთაებას ხელი აღვუყარი და შემდეგნაირად მივმართე: „ქალაქ არინას მზის ქალღვთაებავ, ჩემო ქალბატონო! ის გარშემომყოფი ქვეყნები, რომლებმაც შეურაცხმყოფა მომაყენეს და პატივი არ მცეს, შენი, ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ქალღვთაების მიწებს იტაცებდნენ და კვლავ იგივეს აპირებდნენ. მაშ მოდი, ჩემო ქალბატონო, ქალაქ არინას მზის ქალღვთაებავ ჩემთან და ეს გარშემომყოფი მტრული ქვეყნები ჩემს წინ დაამარცხე!” ხოლო ქალაქ არინას მზის ქალღვთაებამ შეისმინა ჩემი და მოვიდა ჩემთან. მაშინ დავამარცხე, როგორც კი მამაჩემის ტახტზე ავედი, გარშემო მყოფი მტრული ქვეყნები 10 წელიწადში და გავანადგურე ისინი.

პირველი წელი:

§7. ქასქების ქვეყნის ქალაქმა თურმითამ ომი გამომიცხადა და ... მე. შემდეგ ქასქების ქალაქი კვლავ მოვიდა და დაუსრულებელი თავდასხმებით მაწუხებდა. მაშინ, ჩემმა მზემ, გავილაშქრე მის წინააღმდეგ. ქასქების მთავარი ქალაქებს, ხალილასა და დუდუსქას, თავს დავესხი. ხელთ ვიგდე მათი დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა დაწვრილფეხა საქონელი და ისინი ქალაქ ხათუსასკენ წამოვასხი. ხოლო ქალაქები ხალილა და დუდუსქა გადავაწვევინე.

§8. ხოლო როდესაც ქასქების ქვეყანამ ქალაქების, ხალილასა და დუდუსქას განადგურების ამბავი შეიტყო, მთელმა ქასქების ქვეყანამ საშველად გამოსწია. ჩემთან საომრად მოვიდა და მე, ჩემმა მზემ, შევებრძოლე მას. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, [ჩემი ქალბატონი,] ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა (და) ყველა ღვთაება თან მახლდა. მაშინ დავამარცხე ქასქების [ქვეყნის] დამხმარე ლაშქარი და გავანადგურე იგი. ქასქების ქვეყნის ქალაქი თურმითა ხელმეორედ მექმო და მუდმივად ჯარს მაწვდიდა.

§9. მაშინ მე, [ჩემი მზე], უკან დავბრუნდი. და რადგანაც ისხუფითას ქვეყანაში ქასქას ქალაქმა ომი [გამომიცხა]და და ჯარს არ მაწვდიდა, ისხუფითას ქვეყნისაკენ გავწიე და ქალაქ ...ხუმესენას თავს დავესხი. დეპორტირებული მოსახლეობა,

მსხვილფეხა დაწვრილფეხა საქონელი ხელთ ვიგდე და ქალაქ ხათუსაში წამოვასხი. ხოლო ქალაქი კი გადავწვი. ისხუფითას ქვეყნის ქალაქი ქასქა ხელმეორედ ყმად გავიხადე. [და ისინი რეგულარულად მაქვდიდნენ ლაშქარს]. და ეს მე ერთ წელიწადში ვქმენ.

მეორე წელი:

§10. [შემდეგ წელს] გავეშურე [ზემო ქვეყნისაკენ]. და რადგანაც თიფიას ქვეყანამ ომი გამომიცხადა [და ლაშქარს არ მაწვდიდა], თავს დავეცი მე, მზე, ქალაქ ქათხაიდუვას. დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და [წვრილფეხა] საქონელი ხათუსაში წავასხი, [ქალაქი კი გადავწვი].

§11. შემდეგ [თიფიას ქვეყნიდან ქალაქ ხათუსაში დაგბრუნდი და რადგანაც ისხუფითას ქვეყანა მტრულად იყო განწყობილი, გავგზავნე ...] და მან ხელახლა დაამარცხა იგი. ხოლო ვინც [ჩემი ქვეშევრდომი] იქ [იყო, ისინი ...] გაიქცნენ. ნუნ[უნთა ...]. და იგი [გაიქცა ...] ქასქების ქვეყანაში. [...] და [...] [გაიქცა]. ხოლო [...] რომლებიც] აჯანყების მთავრები [იყვნენ], მათ [მოკლეს(?) ისინი. მაშინ მე.] მზე, [თავს დავესხი] ქალაქ ქამანას. [ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ღვთაებანი [ჩემთან იდგნენ], მაშინ [დავამარცხე ქალაქი ქამანა. ხოლო დეპორტირებული მოსახლეობა,] მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი [ხელთ ვიგდე და ქალაქ ხათუსაში წამოვასხი. ქალაქი კი გადავაწვევინე]. და ეს [მე ერთ წელიწადში ვქმენ].

მესამე წელი:

§12. შემდეგ წელს ხოლო [...] ჩემი ძმა ... [...] ქალაქ ხუვარსანასას ლაშქარი] და ქალაქ [...] ლაშქარი [გამექცა] და [არცავას ქვეყნად მივიდა]. მაშინ [გავუგზავნე] უხა-ციოთის მაცნე] და მივწერე: რომელი] ხალხიც, [ქალაქ ათარიმას ლაშქარი,] ქალაქ ხუვარსანასასა და ქალაქ სურუდას] ლაშქარი [შენთან] მოვიდა, [უკან გამომიგზავნე!]. მაგრამ უხა-ციოთიმ [ასე მომიგო:] [არავისაც] არ გამოგიგზავნი. და როგორც ისინი [ჩემთან] ძალდაუტანებლად [მოვიდნენ, ...].

§ 13-14. (დაკარგულია).

§15. შემდეგ გავეშურე ქალაქ ისხუფითასკენ და ქალაქ ფალხუისას თავს დავესხი. ქალაქ ფალხუისასთან ფისხურიელი მტერი ჩემს წინააღმდეგ საომრად მოემზადა და მე მას ბრძოლა გავუმართე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება მხარში მედგა და ფისხურიელი მტერი ქალაქ ფალხუისასთან დავამარცხე. შემდეგ ქალაქი გადავაწვევინე.

§16. შემდეგ ქალაქ ფალხუისადან ქალაქ ხათუსაში დაგბრუნდი. ფეხოსანი (და) ცხენოსანი ლაშქარი შევეარე და ჯერ კიდევ იმავე წელს არცავას ქვეყნად გავეშურე. ხოლო უხა-ციოთის მაცნე გავუგზავნე და ასე მივწერე: „ჩემი ქვეშევრდომები, რომლებიც შენთან მოვიდნენ, როდესაც ისინი უკან მოგთხოვე, არ დამიბრუნე. და შენ მე ვაჟი მომტაცე და შეურაცხყოფა მომაყენე. ახლა კი, უნდა ვიბრძოლოთ! და ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი სამართალი!“

§17. როდესაც მივემართებოდი და ლავასას მთას მივადექი, ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა თავისი ღვთაებრივი ძალა გამოაჩინა და ჭეკა-ჭუხილი მოავლინა. ჩემმა ლაშქარმა იხილა ელვა და არცავას ქვეყანამაც იხილა იგი, ელვამ გასწია და შემუსრა არცავას ქვეყანა, უხა-ციოთის ქალაქი აფასაც განგმირა მან. უხა-ციოთი მუხლზე დააჩოქა და იგი ავად შეიქმნა. ხოლო როდესაც უხა-ციოთი ავად შეიქმნა, ასე მოვიდა იგი ჩემთან საბრძოლველად. მან მე თავისი ვაჟი, სუმი-ქალი გამომიგზავნა ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად და მდინარე ასთარფასთან მდებარე ქალაქ ვალმასთან საომრად გაემზადა და მე, მზე, მას შევერკინე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემმა ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება მხარში მედგა და სუმი-ქალი, უხა-ციოთის ვაჟი დავამარცხე თავის ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად. შემდეგ მას გავედევნე და

არცავას ქვეყანაში შევიტყერი, ქალაქ აფასაში, უხა-ციოთის სამყოფელში მივედი. მაშინ უხა-ციოთიმ წინააღმდეგობა ვერ გამოიწია. იგი გამექცა ზღვისკენ, გემებისკენ და იქ შეჩერდა.

§18. მთელი არცავას ქვეყნის (მოსახლეობა) გაიქცა. რამდენიმე რაზმმა არინანდას მთას მიაშურა და არინანდას მთა დაიკავა. სხვა რაზმებმა კი ქალაქ ფურანდასკენ გასწიეს და დაიკავეს ქ. ფურანდა. სხვა რაზმებმა კი უხა-ციოთისთან ერთად ზღვა გადალახეს. და მე, მზე, არინანდას მთისკენ რაზმს უკან გავყევი და არინანდას მთასთან ბრძოლა გავუმართე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდში მედგა და არინანდას მთა დავამარცხე. იმ დეპორტირებული მოსახლეობის რიცხვი, რომელიც მე, მზემ სასახლეში წამოვასხი, 15 500 იყო; ხოლო ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი იყო უთვლელი. მაშინ გავგზავნე დეპორტირებული მოსახლეობა ქალაქ ხათუსაში და ისინი ადგილზე მიიყვანეს.

§19. ხოლო როდესაც არინანდას მთა დავიპყარი, ასთარფას მდინარესთან უკან დავბრუნდი და ასთარფას მდინარესთან გამაგრებული ლაშქარი დავამარცხე. წლის დღესასწაული იქ დავიწყო. და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში ვქმენ.

მეთხე წელი:

§20. როდესაც გაზაფხულდა, უხა-ციოთი კვლავ ავად იყო და ზღვაში იმყოფებოდა. ვაჟებიც თან ახლდნენ. უხა-ციოთი ზღვაში გარდაიცვალა. მისი ვაჟები კი გაიყვნენ, ერთი ზღვაში დარჩა, მეორე კი, თაფალაცუნაული, ზღვიდან გამოვიდა. და რადგანაც არცავას მთელი ქვეყანა ... ქ. ფურანდაში ზემოთ იყო ასული, თაფალაცუნავალი ქალაქ ფურანდაში ავიდა.

§21. [და მე, მზემ ქალაქი ხათის ლაშქარი] დავრაზმე ქალაქ ფურანდასკენ საბრძოლველად გავწიე. თაფალ[აცუნა]ული ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად მოვიდა ქალაქ ფურანდადან და ჩემს წინ სალაშქროდ მოვიდა და თავის ველ-მინდორზე საომრად დადგა. და მე, მზემ ბრძოლა გავუმართე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, [მეცულა] და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე თაფალაცუნაული [...] თავის ფეხოსან (და) ცხენოსან ლაშქართან ერთად და დავამარცხე. შემდეგ კვლავ შევიპყარი [იგი], და ქალაქ ფურანდასკენ გავწიე და (ქალაქი) გავანადგურებინე და შემდეგ გადავაწვევინე. მას წყალი მოვუწვევებ.

§22. [ხოლო იმ დროს, როდესაც ქალაქი ფურანდა გადავაწვევინე, [თაფალაცუნ]აულის, უხა-ციოთის ვაჟს, რომელიც ქალაქ ფურანდაში ზემოთ იმყოფებოდა, [შეე]შინდა და ღამით ქალაქ ფურანდადან გაიქცა. [შემდეგ თავისი ვაჟები] და ლაშქარი თავიანთი სადგომიდან (?) წაიყვანა [და] ქალაქ ფურანდადან ზემოთ აიყვანა.

§23. [ხოლო როდესაც მე, მზემ, შევიტყევე: „თაფალაცუნაული [ღამით გაიქცა] და თავისი ვაჟები და ლაშქარი [თავიანთი სადგომიდან] წაიყვანა და ზემოთკენ გასწია“, [მაშინ] დავადევნე მე, [მზემ], ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი. [ისინი] დაეწიენ(?) [თაფალაცუნავალი]ს [და] წაართვეს მას თავიანთი ვაჟები] და დეპორტირებული მოსახლეობა და უკან წაიყვანეს ისინი. ხოლო თაფალაცუნავალი მარტო გაიქცა. [ხოლო მათ ხელთ იგდეს] ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი.

§24. [...] ქალაქი ფურანდა გადავწვი, [...დავიწ]ყე [ომი]. [ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი], მეცულა [და ყველა ღვთაება გვერდში მედგნენ, მაშინ] დავამარცხე ქალაქი ფურანდა. [ხოლო იმ გამოძევებული მოსახლეობის რიცხვი, რომლებიც მე სასახლეში მოვიყვანე, შეადგენდა] 15[ხ]00-ს. ხოლო [ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქრის], მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელის რიცხვი უთვლელი იყო. [და მე ისინი ქალაქ ხათუსაში გავგზავნე და მათ] წაიყვანეს [ისინი].

§25. [...] იყო [ზღვაში]. [...] უხა-ციოთის ვაჟი, [...]. და იგი ზღვიდან [გამოვიდა და მივიდა ...] ახიავას ქვეყნის მეფესთან. [მაშინ] გავგზავნე მე, [მზემ ...] გემებისაკენ, [და ახიავას ქვეყნის მეფემ ისინი გა]უშვა და ისინი წავიდნენ. [იმ დეპორტირებული

მოსახლეობის რიცხვი], რომლებიც მასთან ერთად წაიყვანეს, იყო [ქალაქ ... -ს დეპორტირებულ მოსახლეობასთან ერთად] და ქალაქ ლიფას გამოძევებულ მოსახლეობასთან ერთად [...] დეპორტირებული მოსახლეობა. [და მე გა]გზავნე [ისინი ქალაქ ხათუსაში], და ისინი წაიყვანეს.

§26. [ხოლო როდესაც მდინარე სეხას ქვეყნიდან წავედი, [ის მანაფა-თარხუნთა], მდინარე სეხას (ქვეყნის) [ბატონი], იგი დავამარცხე. მაგრამ როდესაც ჩემს შესახებ [მანაფა-თარხუნთამ შეიტ]ყო: „ ხათის ქვეყნის მეფე მოდის”, [შეე]შინდა და ჩემს წინააღმდეგ არ [გამოვიდა და] გამომიგზავნა თავისი დედა, მოხუცი ბრძენი უხუცესი კაცები და ქალები, მოვიდნენ ისინი (და) ფეხთ [ჩამივარდნენ]. და რადგანაც ქალები ფეხთ ჩამივარდნენ, [ქალები] შევიწყალე და მდინარე სეხას ქვეყნისაკენ [არ] გავეშურე. და ის ხათი დეპორტირებული მოსახლეობა, რომლებიც მდინარე სეხას ქვეყანაში იყვნენ, ისინი უკან გადმომცეს. ხოლო ეს დეპორტირებული მოსახლეობა, რომლებიც უკან გადმომცეს, იყვნენ 4 000. ისინი ქალაქ ხათუსაში უკან გაგზავნე და ისინი მიიყვანეს. ხოლო მანაფა-თარხუნთა და მდინარე სეხას ქვეყანა ჩემს ქვეშევრდომად ვქმენ.

§27. მაშინ მირას ქვეყნისაკენ გავწიე და მირას ქვეყანა მასხუილუვას ჩავაბარე. ხოლო მდინარე სეხას ქვეყანა მანაფა-თარხუნთას გადავეცი; ხაფალას ქვეყანა კი თარგასნალის ვუბოძე. ეს ქვეყნები გავანადგურე. ჯარის (მოწოდება) დავაწესე და ისინი მე რეგულარულად ჯარს მიგზავნიდნენ. ხოლო მეორე წელს, არცავას ქვეყანაში გამოზამთრების შემდეგ, ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მედგა და დავამარცხე არცავას ქვეყანა. (მოსახლეობის?) ერთი ნაწილი ქალაქ ხათუსაში წაიყვანე, ხოლო მეორე ნაწილი ადგილზე დავამარცხე და ჯარის (მოწოდება) დავუწესე და ისინი რეგულარულად მაწვდიდნენ ჯარს. და როდესაც მთელი არცავას ქვეყანა დავამარცხე, იმ დეპორტირებული მოსახლეობის რიცხვი, რომლებიც მე სასახლეში წავეგარე, იყო მთლიანად 6 600 სული. ხოლო ქალაქ ხათუსას ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქრის მიერ წამოსხმულ დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს თვლა არ ჰქონდა. და როდესაც მთელი არცავას ქვეყანა დავამარცხე, ქალაქ ხათუსაში დავბრუნდი. და იმის შემდეგ, რაც არცავას ქვეყანაში გამოვიზამთრე, ეს (ყველაფერი) ერთ წელიწადში ვქმენ.

მესუთე წელი:

§28. შემდეგ წელს გავეშურე ასხარფაიას მთისაკენ. და ქალაქ ქასქას, რომელსაც ასხარფაიას მთა ჰქონდა ხელთ ჩაგდებული და ფალას ქვეყნისაკენ გზა ჰქონდა მოჭრილი, ასხარფაიას მთასთან შევებრძოლე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდში მედგა. ქალაქი ქასქა, რომელსაც ასხარფაიას მთა ეპყრა, დავამარცხე და გავანადგურე. ასხარფაიას მთა დავაცარიელე. შემდეგ შინ დავბრუნდი და როდესაც ქალაქ სამახას მივადწიე, ქალაქ ციულილასთან შევისვენე.

§29. და სანამ მამაჩემი მითანის ქვეყანაში იმყოფებოდა, არცაველი მტერი, ქისიას ქვეყანას ხშირად თავს ესხმოდა და ავიწროვებდა. მაშინ მე, მზე არავანას ქვეყნისაკენ გავეშურე და არავანას ქვეყანას თავს დავესხი. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე არავანას ქვეყანა. ხოლო იმ დეპორტირებული მოსახლეობის რიცხვი, რომელიც არავანას ქვეყნიდან სამეფო სასახლეში წავასხი, იყო 3 500. ხოლო ის მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, რაც ქალაქ ხათუსას ფეხოსანმა და ცხენოსანმა ლაშქარმა წამოასხა, უთველელი იყო. ხოლო როდესაც არავანას ქვეყანა დავამარცხე, ქალაქ ხათუსაში უკან დავბრუნდი. და ყოველივე ეს ერთ წელიწადში ვქმენი.

მეექვსე წელი:

§30. შემდეგ წელს ციხარიას ქვეყნისაკენ გავემართე. ბაბუაჩემის დროს ქალაქმა ქასქამ თარიქარიმუს მთა ძალით დაიკავა. მაშინ ქალაქ ხათუსას საფრთხე შეექმნა, მოვიდნენ ისინი (და) თავს დაესხნენ ქალაქ ხათუსას და მეტად შეავიწროვეს. მე, მზე გავემართე და ქალაქ ქასქას, რომელმაც თარიქარიმუს მთა დაიპყრო, თავს დავესხი. ქალაქ არინას მზის ქაღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე ქალაქი ქასქა თარიქარიმუს მთაზე და გავანადგურე იგი. თარიქარიმუს მთა კი დავაცარიელე, ციხარიას მთელი ქვეყანა გადავაწვევინე. შემდეგ ქალაქ ხათუსაში უკან დავბრუნდი და ყოველივე ეს ერთ წელიწადში ვქმენ.

მეშვიდე წელი:

§ 31. შემდეგ წელს ქალაქ თიფიასკენ გავეშურე. იმ დროს, როდესაც მამაჩემი მითანის ქვეყნად იყო, თიფიელი ფიხუნია გამოჩნდა და ზემო ქვეყანა თავდასხმებისაგან შეაწუხა. შემდეგ იგი ქალაქ ცაცისასკენ გაეშურა. ზემო ქვეყანა ხელთ იგდო. ისთითინას მთელი ქვეყანა კი შეინარჩუნა და თავის საბრძანებლოდ ქმნა.

§32. ამის შემდეგ ფიხუნია ქასქების მსგავსად არ მეფობდა, არამედ ქასქების იმ ქალაქებში, სადაც მმართველი არ იჯდა, ფიხუნია იქ მეფობდა.

და მე, მზემ მის წინააღმდეგ გავილაშქრე. მას მაცნე გავუგზავნე და მივწერე: „ჩემი მსახურები, რომელიც შენ ხელთ გყავს და ქასქების ქვეყანაში წაასხი, დამიბრუნე უკან!“ ფიხუნია კი ასე მომწერა: „უკან არაფერს არ დაგიბრუნებ. მაშინაც კი, თუ ომს გამომიცხადებ, ჩემს მიწაზე არ შეგებრძოლები, შენს ქვეყნად მოვალ და შენს ქვეყანაში შეგებრძოლები“. და რადგან ფიხუნია ასე მომწერა და ჩემი მსახურები არ დამიბრუნა, მის წინააღმდეგ გავილაშქრე და ქვეყანას თავს დავეცი. ქალაქ არინას მზის ქაღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება ჩემს გვერდით იდგა, დავამარცხე თიფიას ქვეყანა და გადავაწვევინე. ფიხუნია კი შევიპყარი და ქალაქ ხათუსაში წავიყვანე. შემდეგ თიფიას ქვეყანაში დავბრუნდი და რადგან ფიხუნიას ისთითინას ქვეყანა ეპყრა, იგი კვლავ ავაგე და იგი კვლავ ხათის ქვეყნად ვაქციე.

§33. როდესაც თიფიას ქვეყანა დავამარცხე, აცის მეფეს, ანიას მაცნე გავუგზავნე და მივწერე: „იმ დროს, როდესაც მამაჩემი მითანის ქვეყანაში იმყოფებოდა, ჩემი მსახურები, რომლებიც შენთან მოვიდნენ, [უკან დამიბრუნე!“ ..].

მერვე წელი:

დაკარგულია.

მეცხრე წელი:

დასაწყისი დაკარგულია.

§39. [...] რომელი [...] შიში [...] შემოვბრუნდი. [...] არ] შე[მებრძოლა. ზემო ქვეყანაში რომელი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარიც] დავტოვე, [ნუვანცამ, დიდმა მეღვინეთუხუცესმა] მოიყვანა [ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი] საშველად და გასწია ქალაქ ქანუვარასკენ [ქალაქ აცის მტერთან შესაბრძოლებლად]. და აცის ქვეყნის ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [ნუვანცას, დიდი მეღვინეთუხუცესის წინააღმდეგ საბრძოლველად] შეემართა. ხოლო აცის ქვეყნის ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [ნუვანცამ, დიდმა მეღვინეთუხუცესმა დაამარცხა. ტყვეებისა და მოკლულების რიცხვს [თვლა არ ჰქონდა].

§40. [ხოლო როდესაც მე, მზე, ქალაქ ქიცუკათნადან ამოვედი, რადგანაც წელი [იწურებოდა], ამის გამო აცის ქვეყანაში არ წავედი. [და რადგან ქალაქმა იახრესამ] ომი დამიწყო და ჯარს არ მაწვდიდა, [...] ქალაქი [...] თავდასხმებით ავიწროვებდა, [გავეშურე მე.] მზე ქალაქ იახრესასკენ და ქალაქ იახრესას თავს დავესხი. ქალაქ არინას მზის ქაღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, [მეცულა და ყველა [ღვთაება] გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე ქალაქი იახრესა, შემდეგ კი გადავაწვევინე. შემდგომ კი გავეშურე ფიგაინარესას

ქვეყნისაკენ. ფიგაინარესას ქვეყნიდან ქალაქ ქასქას დავესხი თავს და დავამარცხე იგი. ფიგაინარესას ქვეყანა კი [გადაქვაწვევინე. დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი კი ხელთ ვიგდე [და] ქ. ხათუსაში წამოვასხი. და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში ვქმენ.

მეათე წელი:

§41. შემდეგ წელს გავწიე აცის ქვეყანაში. აცის ქვეყნის ფეხოსანი (და) ცხენოსანი ლაშქარი საომრად არ გამოსულა და მთელი ქვეყანა გამაგრებულ ქალაქებში დაბანაკდა. მხოლოდ ორი გამაგრებული ქალაქის, არიფსასა და დუქამას წინააღმდეგ გავილაშქრე. ქალაქ არინას მზის ქაღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდში მედგა. მაშინ ხელთ ვიგდე ქალაქი არიფსა და ქალაქი დუქამა ბრძოლით. იმ დეპორტირებული მოსახლეობის რიცხვი, რომელიც სამეფო სასახლეში წამოვასხი, 3 000 იყო. ხოლო ის მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი, რომელიც ქალაქ ხათუსას ფეხოსანმა და ცხენოსანმა ლაშქარმა წამოვასხა, უთვლელი იყო.

დასკვნა:

იმის შემდეგ, რაც მამაჩემის ტახტზე დავეჯექი, 10 წელი ვიმეფე. ეს მტრული ქვეყნები ჩემი ხელით დავამარცხე 10 წელიწადში. ხოლო ის მტრული ქვეყნები, რომლებიც უფლისწულებმა დაამარცხეს, აქ არ არის (აღნიშნული). რასაც მე ქალაქ არინას ქაღვთაება, ჩემი ქალბატონი შემდგომში დამიწესებს, იმას დავიწესებ და შევასრულებ! “